# 112-ის დროით

№41
იანვარი - თებერვალი, 2017



*მოგესალმებით,*

*ჟურნალი „112-ის დროით", დირექტორის გიორგი ბიჭაშვილის ინიციატივით, თითქმის 1 წელია ყოველთვიურად გამოდის. ჟურნალის მთავარ მიზანს თითოეული თანამშრომლის მუდმივი ინფორმირებულობა წარმოადგენს დეპარტამენტში მიმდინარე მოვლენებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.*

*მოხარულები ვართ, შეგატყობინოთ, რომ ჟურნალი მიმდინარე წლის ბოლომდე ჩვეულ რეჟიმში (ყოველი თვის ბოლოს) ისევ დაიბეჭდება. შეგახსენებთ, სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო 2017 წელს, სამწუხაროდ, შეფერხებული იყო ჟურნალის გამოცემა, თუმცა გავაერთიანეთ გამოტოვებული თვეების ყველა საინტერესო მოვლენა და გთავაზობთ შემაჯამებელ ნომერს.*

*პატივისცემით,*

*ჟურნალის რედაქცია*

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი

დიზაინი თეა კუპრაძე

**01** „11 თებერვალი, გადაუდებელი დახმარების ნომრის - 112-ის დღეა ........................................................ გვ.4-7

**02** რას ნიშნავს გადაუდებელი დახმარება? ........................................................ გვ.8-10

**03** კავკასიის ფრანგული სკოლის მოსწავლეები 112-ს ესტუმრნენ ........................................................ გვ.11

**04** 112-ს საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ ........................................................ გვ.12

**05** სკოლა „ჯეჯილის" მოსწავლეები სტუმრად 112-ში ........................................................ გვ.13

**06** 112-ს მოლდოვის დელეგაცია ეწვია ........................................................ გვ.14

**07** შვედეთის სამეფოს დელეგაცია 112-ში ........................................................ გვ.15

**08** 112-ს ბელარუსის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ეწვია ........................................................ გვ.16

**09** პოლიციელმა ძაღლმა მოხუცი სიკვდილს გადაარჩინა ........................................................ გვ.18

**10** აშშ-ს 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაზარალებულმა მეხანძრემ ჯეკპოტი მოიგო ........................................................ გვ.19

# 01 11 თებერვალი, გადაუდებელი დახმარების ნომრის - 112-ის დღეა

2009 წლიდან ევროკავშირის გადაწყვეტილებით 11 თებერვალი „112“-ის დღედ აღინიშნება. მსოფლიოს 81 ქვეყანა, სადაც „112“ ფუნქციონირებს ამ დღეს სხვადასხვა სახის ღონისძიებით აღნიშნავს.

## რატომ 11 თებერვალი?

11 თებერვალი წარმოადგენს საგანგებო ნომრის სამი ციფრის კომბინაციას:

**11.02**

## მიზანი

აღნიშნული დღის მიზანია ნომრის ცნობადობის გაზრდა. გარდა ამისა, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) ასახელებს წლის თემას, რომელიც ყველა ქვეყანამ აქტივობების დაგეგმვაში უნდა გაითვალისწინოს.

საქართველოს „112“ აღნიშნულ დღეს 2013 წლიდან აქტიურად აღნიშნავს.

ყოველ წელს „112“-ის მენეჯმენტი სამინისტროსა და მომიჯნავე სამსახურების ხელმძღვანელებს აცნობს დეპარტამენტის შესრულებული სამუშაოს შედეგებსა და სამომავლო გეგმებს. წლის საუკეთესო ოპერატორები და დისპეტჩერები კი მინისტრის მადლობის სიგელებით ჯილდოვდებიან.

გარდა შიდა ღონისძიებებისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებასთან კომუნიკაციას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, აქტივობები აეროპორტსა და ხალხმრავალ ადგილებში, შეხვედრები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, კონკურსები და კამპანიები სოციალურ მედიაში, სატელევიზიო და რადიო გადაცემები. თითოეული ღონისძიება მოსახლეობაში საგანგებო სიტუაციების დროს ინფორმირებულობის გაზრდას და „112“-ის მიზნობრივად გამოყენებას ისახავს მიზნად.

2013 წლიდან დღემდე აღნიშნულ ღონისძიებაზე სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა, რომლის შესახებაც ვრცლად შემდეგი გვერდებიდან შეიტყობთ.



# 2013 წელი



„112“-ის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო. ასევე, ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთაც „112“-ის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

# 2014 წელი





„112“-ის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ეწვია და „112“-ის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს ეს დღე მიულოცა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და „112“-ის ეფექტურ მუშაობაში წვლილის შეტანისთვის 5 თანამშრომელს მადლობის სიგელი გადასცა. „112“-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა შს მინისტრს ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ცენტრში განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი სიახლეები გააცნო.

გარდა ამისა, 2014 წელს, „112“-ის დღესთან დაკავშირებით, „112“-ის დეპარტამენტმა ფოტომოყვარულებისთვის კონკურსი გამოაცხადა და საშუალება მისცა ყველა ასაკის პროფესიონალ და მოყვარულ ფოტოგრაფს მონაწილეობა მიეღო კონკურსში. კონკურსის მონაწილეებმა გამოაგზავნეს ფოტოები, რომლებიც გადაღებული იყო „112“-ის და საგანგებო სიტუაციების თემატიკაზე. საუკეთესო ნამუშევრების ფოტოგამოფენა „112“-ის ცენტრში გაიმართა, ხოლო გამარჯვებული ფოტოების ავტორებს პრიზები გადაეცათ.







# 2015 წელი

შს მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე შსს-ს „112"-ის დეპარტამენტს ეწვია და „112"-ის დღე მიულოცა. შსს-ს მთავარ მიმართულებად 2015 წელს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა დასახელდა. აღნიშნულ თემაზე მიღებული ზარების შინაარსიდან გამომდინარე, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და „112"-ის ეფექტურ მუშაობაში შეტანილი წვლილისთვის, შს მინისტრის სახელით, ცენტრის 2 თანამშრომელს მადლობის სიგელი გადაეცა. ასევე, „112"-ის დირექტორმაც მიულოცა „112"-ის ყველა თანამშრომელს და მადლობის წერილები გადასცა.

სპეციალურად „112"-ის დღესთან დაკავშირებით „112"-ის წარმომადგენლებმა პრეზენტაციები ჩაუტარეს მცხეთის მე-2 და რუსთავის მე-11 საჯარო სკოლების მოსწავლეებს და სამსახურის მუშაობის სპეციფიკის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდეს.

საინფორმაციო აქტივობა თბილისის საერთაშორისო აეროპორტშიც განხორციელდა და მგზავრებს მიეწოდათ ინფორმაცია „112"-ის შესახებ.



# 2016 წელი

შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, მოადგილეებთან და საგანგებო სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, გადაუდებელი დახმარების ნომრის დღესთან დაკავშირებით, „112"-ის დეპარტამენტს ეწვია.

შს მინისტრმა და სტუმრებმა „112"-ის ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს, ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და დეპარტამენტის სამომავლო გეგმებს გაეცნენ. შს მინისტრმა „112"-ის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და ცენტრის ეფექტურ მუშაობაში



შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცა.

სპეციალურად „112"-ის დღესთან დაკავშირებით, განხორციელდა ახალი სოციალური კამპანია „ერთად შევამციროთ არამიზნობრივი ზარები 112-ში". აღნიშნულ კამპანიაში ჩაერთნენ „112"-ის თანამშრომლები, პოლიციელები, ექიმები, სტუდენტები, ბავშვები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ერთად შევამციროთ არამიზნობრივი ზარები 112-ში



„112"-ის დღესთან დაკავშირებით, Erasmus+ საქართველოს, შსს-ს „112"-ის დეპარტამენტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ერასმუსის სტიპენდიატებთან. ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ (EENA) 2016 წლის პრიორიტეტად სტუდენტების ინფორმირება გამოაცხადა. შესაბამისად, „112"-მა, Erasmus+ საქართველოსთან ერთად, ახალი პროექტი დაიწყო, რომლის მიზანია, უსაფრთხოების საკითხებზე იმ ქართველი სტუდენტების ინფორმირება, რომლებიც სასწავლებლად ევროპაში მიემგზავრებიან.

# 2017 წელი

შსს-ს „112"-ის დეპარტამენტმა, სპეციალურად ამ დღისთვის, „გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის" კვირეული გამოაცხადა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა საინფორმაციო კამპანია განხორციელდა: „112"-ს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე მოსახლეობას მიეწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ; „112"-ს კავკასიის ფრანგული სკოლის 100-მდე მოსწავლე ესტუმრა. მოზარდებმა სამსახურის მუშაობის სპეციფიკის შესახებ სრული ინფორმაცია მიიღეს.

„112"-ის დაარსებიდან დღემდე, არაგადაუდებელ შემთხვევებთან დაკავშირებული შეტყობინებები 1 351 087-ით არის შემცირებული, რისთვისაც „112"-მა მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა.



# 02 რას ნიშნავს გადაუდებელი დახმარება?



გადაცემას „კანონის ფარგლებში" „112"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სოფო ალექსიძე და ოპერატიული მართვის სამმართველოს უფროსი ოთარ ტატალაშვილი ესტუმრნენ. 11 თებერვალს „112"-ის დღე აღინიშნება, გადაცემა აღნიშნულ თემას დაეთმო.

## რას ნიშნავს გადაუდებელი დახმარება?

სოფო ალექსიძე:

11 თებერვალს „112"-ის დღე აღინიშნება და ამ დღეს უერთდება მსოფლიოს 82 ქვეყანა, სადაც აქტიურია ნომერი „112". ამ დღის მიზანია მოსახლეობაში ცნობადობის გაზრდა და ჩვენ არაერთი საინფორმაციო ხასიათის კამპანია წამოვიწყეთ - 11 თებერვლამდე ერთი კვირით ადრე გამოვაცხადეთ „112"-ის ცნობადობის გაზრდის კვირეული, გვაქვს ღია კარის დღე და „112"-ში სკოლის მოსწავლეებს ვმასპინძლობთ, ვაწვდით ყველა საჭირო ინფორმაციას, ვაქტიურობთ სოციალურ ქსელში, გვაქვს სხვადასხვა სახის რადიო-ტელე გადაცემა.

ნომრის ცნობადობა თითქმის 100%-იანია, იციან, რომ „112"-ში უნდა დარეკონ მაშინ, როდესაც სჭირდებათ დახმარება, თუმცა არ იციან კონკრეტულად რა შემთხვევაში უნდა დარეკონ. მაგალითად, რეკავენ და კითხულობენ რა ნომერი სამარშრუ-

ტო ტაქსი მიდის ერთი უბნიდან მეორეში, მართალია, ესეც დახმარებაა, მაგრამ არა გადაუდებელი.

უკვე მეხუთე წელია „112" არსებობს და ძალიან არის შემცირებული არამიზნობრივი ზარების რაოდენობა, თუმცა ასეთი ზარები ჯერ მაინც არის.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობა იყოს ინფორმირებული. მათ დასაინტერესებლად შევქმენით ფუტურისტული ოპერატორები, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ბავშვებზე და ისინი ჩვენს სხვადასხვა ღონისძიებაში აქტიურად იღებენ მონაწილეობას.

## როგორია ქოლ-ცენტრის სტატისტიკა?

ოთარ ტატალაშვილი:

დღე-ღამეში 21 000 ზარი შემოდის, ყოველ 4 წამში - ერთი ზარი.

ოპერატორები მაქსიმალურად ცდილობენ, ყველა ზარს ისე უპასუხონ, როგორც პირველს.

მოქალაქეებს მინდა ვთხოვო, როდესაც რეკავენ „112"-ში, უპასუხონ ოპერატორის ყველა შეკითხვას. სხვათა შორის, „112"-ში ქალბატონები უფრო ხშირად რეკავენ, ვიდრე მამაკაცები.

მთელი საქართველოდან, ყველა ზარს პასუხობს „112"-ის ოპერატორი, რომელიც არის ან თბილისში, ან რუსთავში.

2016 წელს შეგვემატა რუსთავის ცენტრი, სადაც ოპერატორებისთვის განსაკუთრებით კომფორტული გარემოა. ეს არის ალტერნატიული ქოლ-ცენტრი, რომელიც ახდენს თბილისის ქოლ-ცენტრის დაზღვევას.

## როდის უნდა დავრეკოთ 112-ში?

სოფო ალექსიძე:

ერთი ზარით ვიღებთ სამი სამსახურის - პოლიციის, სახანძრო/სამაშველო და სასწრაფოს დახმარებას. უპასუხეთ ოპერატორის ყველა შეკითხვას მშვიდად და გარკვევით, ნუ გაღიზიანდებით, მერწმუნეთ, არცერთი ოპერატორი საკუთარი ინიციატივით არ სვამს არცერთ შეკითხვას.

ოთარ ტატალაშვილი:

ყოველთვის ვამბობთ, რომ „112"-ში უნდა დავრეკოთ მაშინ, როდესაც საჭიროა გადაუდებელი დახმარება.

**რას ნიშნავს გადაუდებელი დახმარება რეალურად?**

გადაუდებელი არის ისეთი დახმარება, რომლის გადადებაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. მიზნობრივი ზარების უმრავლესობა შეიძლება გადაიდოს და გაიგზავნოს ბრიგადა რამდენიმე საათში. მაგალითად თუ ახალგაზრდა ადამიანს აქვს 38$^0$C სიცხე, მასთან შეიძლება ბრიგადა მივიდეს 3-4 საათში, რადგან ამ დროს შესაძლოა რეალურად მართლაც გადაუდებლად ესაჭიროებოდეს სხვას დახმარება. ძალიან აქტიური გახდა კამპანია „მე გზას ვუთმობ სასწრაფოს", რამაც რეალურად დადებითი შედეგი გამოიღო.

სხვათა შორის, არის ხოლმე შეურაცხმყოფელი ზარები, რამდენიმე შეკითხვის შემდეგ ადამიანი ღიზიანდება, რადგან ჰგონია, რომ დროს კარგავს, რეალურად კი შეკითხვების დასმა სწორედ დროის დაზოგვის მიზნით ხდება. არიან ადამიანებიც, რომლებიც პირდაპირ შეურაცხყოფით იწყებენ საუბარს, ამ დროს იკარგება დრო და ასეთი

საუბარი ოპერატორის ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. ასეთი ადამიანებისთვის არის ჯარიმა და არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა ასეთი. დღესასწაულებზე რეკავენ მოქალაქეები და ულოცავენ ოპერატორებს, რა თქმა უნდა ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ფერხდება ხაზი.

## როგორ გაუმკლავდით ვირუსულ პერიოდს?

გვაქვს გარკვეული სტატისტიკა, რომლის გათვალისწინებითაც ყველა პერიოდს მომზადებულები ვხვდებით და დარბაზში სწორედ იმდენი ოპერატორია, რამდენიც საჭიროა. ვირუსული ინფექციების ფონზე ოპერატორების რაოდენობა იზრდება.

ბრიგადების რაოდენობა ზამთარშიც და ზაფხულშიც ერთიდაიგივეა, ამის გამო ძალიან ხშირია განმეორებითი ზარები. შარშანაც და წელსაც თბილისის სასწრაფოს დავახმარეთ ოჯახის ექიმები. მოხდა მათი აღჭურვა ოფისებით, ტელეფონებით, ავტომობილებით - ფაქტიურად გაიზარდა ბრიგადების რაოდენობა. ოპერატორი ფილტრავს ზარს და ადგენს, პაციენტთან უნდა წავიდეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, თუ უნდა ჩაერთოს ოჯახის ექიმი. ასე გადავიტანეთ ვირუსული ფონი შედარებით უმტკივნეულოდ. მინდა განვმარტო, რომ საუბრის დასრულება არ არის საჭირო იმისთვის, რომ ბრიგადა ადგილზე გავიდეს, ეს ორი რამ ერთმანეთთან კავშირში არ არის.

## რა ალტერნატიული საშუალებებით არის შესაძლებელი 112-ში დარეკვა?

ჩვენთან დარეკვა შესაძლებელია ორმხრივად გათიშული ტელეფონიდან, მაშინაც კი, როდესაც ტელეფონში არ დევს სიმ-ბარათი. თუ არ ვიმყოფებით მობილური ოპერატორების დაფარვის ზონაში, ძირითადად მთიან რეგიონებში, „112"-თან დაკავშირებისთვის არსებობს GPS ტრეკერი, რომელიც სატელიტის მეშვეობით მუშაობს და ჩვენ შეგვიძლია ტრეკერიდან მივიღოთ სიგნალი. გვაქვს მობილური აპლიკაცია, რომელიც ჯერჯერობით სატესტო რეჟიმში მუშაობს და ძალიან გაამარტივებს სასურველი დახმარების მიღების პროცესს.

## როგორ უნდა გახდეს ადამიანი 112-ის ოპერატორი და რა პირობები უწევთ ოპერატორებს მუშაობა?

რუსთავის ცენტრის შექმნის დროს გავითვალისწინეთ ყველა წვრილმანი - პირადი სივრცე, მოსასვენებელი ოთახი, აკუსტიკა, განათება და ა.შ. იგეგმება თბილისის ცენტრის რეორგანიზაციაც.

„112"-ში მუშაობის დასაწყებად, პირველ რიგში უნდა არსებობდეს სურვილი. ოპერატორად მუშაობის დაწყების მსურველს არ უნდა უჭირდეს სწრაფად გადაწყვეტილების მიღება, სიტუაციის მართვა. ჩასაბარებელია ბევრი გამოცდა, კანდიდატებს რთული გზის გავლა უწევთ, თუმცა ძალიან ბევრი მსურველი გვყავს.



„112" ახორციელებს პროექტს - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა". პროექტის ფარგლებში, თბილისის ცენტრს კვირაში 100-მდე სკოლის მოსწავლე სტუმრობს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოზარდებს მიეწოდოთ ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ: თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ „112"-ზე, რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი „112"-ზე დარეკვით.

ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეები ცენტრის წარმომადგენლებისგან იღებენ ინფორმაციას, თუ რა ზიანის მომტანია „112"-ზე ცრუ ზარის განხორციელება და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში.

## კავკასიის ფრანგული სკოლის მოსწავლეები 112-ს ესტუმრნენ 03










ყოველი წლის 11 თებერვალს, როგორც საქართველო, ასევე, მსოფლიოს 81 ქვეყანა, გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112"-ის დღეს აღნიშნავს. მიმდინარე წლის 6-11 თებერვალს, საქართველოს „112"-მა სხვადასხვა სახის ღონისძიება განახორციელა.

აღნიშნული კვირეულის ფარგლებში, კავკასიის ფრანგული სკოლის 100-ზე მეტმა მოსწავლემ შსს-ს „112"-ის დეპარტამენტი დაათვალიერა, ცენტრის და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნო.

„112"-ის წარმომადგენლებმა სტუმრებს სრული ინფორმაცია მიაწოდეს გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში, გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა.





# 04

## 112-ს საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ

სკოლის მოსწავლეების ვიზიტები შინაგან საქმეთა სამინისტროს „112"-ის დეპარტა-მენტში გრძელდება.

მიმდინარე წლის 15, 16 და 17 თებერ-ვალს, „112"-ის ცენტრს თბილისის #71-ე და #182-ე საჯარო სკოლის, მესამე და მე-ოთხე კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ.



# 05

## სკოლა „ჯეჯილის“ მოსწავლეები სტუმრად 112-ში





მიმდინარე წლის 20-28 თებერვალს, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, სკოლა „ჯეჯილის“ მოსწავლეები ესტუმრნენ. მოზარდებმა „112“-ის თბილისის ცენტრი დაათვალიერეს, ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და სრული ინფორმაცია მიიღეს გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში, გადაუდებელი შემთხვევების დროს ოპერატიული დახმარების აღმოჩენა. მოსწავლეებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ იმის შესახებ, თუ რა ზიანის მომტანია „112“-ზე ცრუ ზარის განხორციელება და რა სანქციები გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში.







# 06

## 112-ს მოლდოვის დელეგაცია ეწვია

მიმდინარე წლის 21 თებერვალს, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, სამუშაო ვიზიტით, მოლდოვის რესპუბლიკის გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის და სასწრაფო დახმარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ვიზიტის მიზანი იყო მოლდოვური მხარის მიერ საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების სისტემის მუშაობის სპეციფიკის შესწავლა და „112“-ის გამოცდილების გაზიარება.

„112“-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს თბილისის და რუსთავის ცენტრები დაათვალიერებინა. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას, საგანგებო სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობის პრინციპებს, ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საინფორმაციო ტექნოლოგიების მუშაობის პროგრამულ და ტექნიკური ასპექტებს, პროფესიონალი კადრების გადამზადების პროცესებს. დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ უშუალოდ დაკვირვებოდნენ შემოსული შეტყობინებების მართვის პროცესსაც.

მხარეები სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთიანი საგანგებო სისტემის დანერგვის პროცესში გამოცდილების გაზიარებაზე შეთანხმდნენ.



# 07

## შვედეთის სამეფოს დელეგაცია 112-ში

მიმდინარე წლის 7 თებერვალს, შსს-ს „112"-ის დეპარტამენტს, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, შვედეთის ეროვნული პოლიციის კომისრის მოადგილე, მეტს ლოფვინგი და შვედი სამართალდამცველები ეწვივნენ. სტუმრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ ვითარებას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112"-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

„112"-ის წარმომადგენლებმა დელეგაციის წევრებს პრეზენტაციის სახით მიაწოდეს ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების, ასევე, ზარის მიღებისა და დამუშავების პროცესის შესახებ. სტუმრებმა დაათვალიერეს ქოლ-ცენტრი, სადაც ოპერატორებისა და დისპეტჩერების ძირითად სამუშაო პროგრამასთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია მიიღეს.

მხარეებმა საერთო ინტერესის საკითხები განიხილეს და შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს. შეხვედრის დასასრულს, „112"-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის თითოეულ წევრს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.









# 08

## 112-ს ბელარუსის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ეწვია

2017 წლის 31 იანვარს, შსს-ს „112"-ის დეპარტამენტს, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე, ივან ნოსკევიჩი ეწვია.

სტუმრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ სიტუაციას გაეცნენ და „112"-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარეს და დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ „112"-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

„112"-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს ცენტრი პირადად დაათვალიერებინა და სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.







ეს საინტერესოა...

# 09 პოლიციელმა ძაღლმა მოხუცი სიკვდილს გადაარჩინა

სტავროპოლის მხარის ერთ-ერთ სოფელში, 64 წლის მამაკაცი ტყეში სასეირნოდ წავიდა და დაიკარგა. მეზობლების განცხადებით, მოხუც ტაივოს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ადვილად კარგავდა გარემოში ორიენტირების უნარს, ეწყებოდა პანიკა და გარშემომყოფებთან კონტაქტს გაურბოდა, უჭირდა სიარული და მეტყველების პრობლემებიც ჰქონდა.

ძებნაში პოლიციელი ძაღლი - „პოისუ" ჩართეს. ძაღლმა კვალს მიაგნო და მალევე იპოვა მოხუცი, რომელიც გონზე გახლდათ, თუმცა ძლიერი გაუწყლოების გამო საშინლად იყო დასუსტებული და მოძრაობა არ შეეძლო. ტაივო დაუყოვნებლივ გადაიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში.

რამდენიმე დღეში მოხუცი სრულიად გამოჯანმრთელდა და ოჯახს დაუბრუნდა.

**წყარო: www.postimees.ee**



## 10 აშშ-ს 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაზარალებულმა მეხანძრემ ჯეკპოტი მოიგო

კარმელო მერკადო ყოფილი ნიუ-იორკელი მეხანძრეა, რომელიც მეხანძრეების იმ გუნდში იმყოფებოდა, რომელიც პირველი მივიდა ალმოდებულ ცათამბჯენებთან. ამ ფაქტის შემდეგ მერკადოს ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა...

რამდენიმე წლის შემდეგ, 63 წლის გმირმა ნიუ-იორკისგან სანაცვლო საჩუქრად იღბალი მიიღო და ლატარიის ბილეთიდან 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯეკპოტი მოხსნა...

სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, კარმელო წლების განმავლობაში ყოველკვირეულად ყიდულობდა ლატარიის ბილეთებს. როგორც წესი, მერკადო ბილეთებს კვირა დღეს არ ყიდულობდა, თუმცა 5 ივლისი გამონაკლისი იყო: -„დედა ყოველთვის მეუბნებოდა: ამერიკაში ცხოვრება ძვირია, განსაკუთრებით ნიუ-იორკში... ხშირად ითამაშე ლატარია... ჯიხურში 2 ბილეთი ვიყიდე. როდესაც მანქანაში ჩავჯექი და გადავფხიკე, აღმოვაჩინე, რომ 5 მილიონი დოლარი მქონდა მოგებული... " - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას იღბლიანმა მეხანძრემ.

**წყარო: www.thefederalistpapers.org**








www.112.gov.ge